

# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 72

ქ. ვანი

27.03 2018 წელი

ერთის მხრივ, ვანის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“) ვანის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე გოგორიშვილი სახით. მეორეს მხრივ, შპს „გი-ან 2011“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორისგია კოპალეიშვილის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობისა და „მიმწოდებელი“-ს სატენდერო წინადადების საფუძველზე, SPA180001557 ერთეულის ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ (დაწესებულებამ), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
- 1.6 „სამუშაო“ - ხელშეკრულებისმე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
- 1.7 „ტექნიკური დოკუმენტაცია“ - მიმწოდებლის მიერ SPA180001557 ერთეულის ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

- 2.1 ქ. ვანში წრეთლის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 195397,08 ლარი
- 2.2 ქ. ვანში გიორგამის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 194720,48 ლარი
- 2.3 ქ. ვანში წმინდა ნინოს ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 409698,59 ლარი
- 2.4 ზედა ვანი-გადიდის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 249183,84 ლარი
- 2.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში (ხარჯთაღრიცხვები, სამუშაოების შესრულების კალენდარულ-თანხობრივი გეგმა-გრაფიკი და სამუშაოთა წარმოების უზრუნველყოფის წინადადება წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).
- 2.6 კლასიფიკატორის კოდი - 45200000.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1048999,99 (ერთი მილიონ ორმოცდარვაათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 99 თეთრი) ლარი
- 3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 4.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მუდმივად მართავდეს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.





4.2. სახელშეკრულებო ობიექტზე(ობიექტებზე ცალ-ცალკე) შემსრულებელმა უნდა აწარმოოს - დანომრილფურცლიანი, ზონარგაყრილი, შემსყიდველი და შემსრულებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელების ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმებისა და მოწყობილობების ჩამონათვალს, ხარისხის, უსაფრთხოებისა და გარემოზე ზემოქმედების დაცვის პროცედურებს, ამინდის მონაცემებს და სხვა. ამ ჟურნალში ტექნიკური დამხმარე ყოველდღიურად ასახავს და ავსებს მონაცემებს, ხოლო შემსყიდველი პერიოდულად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებსა და რეკომენდაციებს. ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები.

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.4 იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი.“

4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი(ინსპექტირება) განხორციელდება ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის და შპს"საინჟინრომონიტორინგისჯგუფი"-ს მიერ.

4.6 ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანიზაცია - შპს"საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი" ამოწმებს სამუშაოს შესრულების მოცულობას, ხარისხს და ვადებს.

### 5. სამუშაოს შესრულების ვადა

5.1.„მიმწოდებელი“ ვალდებულია სამუშაოების შესრულება განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 120 კალენდარული დღის განმავლობაში, 2018 წლის 24 ივლისის ჩათვლით.

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.„შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

6.2.შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებისას, „მიმწოდებელი“ ვალდებულია წარმოადგინოს შპს"საინჟინრომონიტორინგისჯგუფი"-სმიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, მოცულობასა და ფასებზე.

6.3.შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების ფასებს, ხარისხს დამოცულობას ჩაუტაროს ექსპერტიზა სსიპ„ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მეშვეობით. (ხარჯებს გაიღებს "შემსყიდველი"). უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში "მიმწოდებელი" ვალდებულია აუნაზღაუროს გაწეული ექსპერტიზის ხარჯები "შემსყიდველს", წარმოდგენილი სამუშაო არ მიიღება და განიხილება მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითხი (ყველა გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეკისრება მიმწოდებელს.

(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარისბრძანება №12 2017 წლის 14 ივნისიქ. თბილისი)

6.4 სამუშაოს დასრულების ვადად ითვლება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის და შპს"საინჟინრომონიტორინგისჯგუფი"-ს მიერ სამუშაოს დასრულების დადასტურების დღე.

6.5ფაქტიური შესრულების დამტკიცებას შპს"საინჟინრომონიტორინგისჯგუფი"-ს დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ვანის მუნიციპალიტეტის მერი.

### 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე არაუმეტეს სახელშეკრულებო თანხის 40%(ორმოციპროცენტი)-ბრუნდებით.

7.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

- ა) შპს"საინჟინრომონიტორინგისჯგუფი"-ს დასკვნა.
- ბ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება.
- გ)ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტი.





დ) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.დ.გ-ს ანგარიშ-ფაქტურა.

ე) სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს - შპს "საინჟინრო მონოტორინგის ჯგუფი"-ს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების მოცულობაზე, ხარისხზე და ფასებზე.

7.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

7.4 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

7.5 „მიმწოდებელი“-ს მოთხოვნით, მხარეთა შორის 30%-ის ფარგლებში წინასწარ ანგარიშსწორებაზე (ავანსი) მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“-ს მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი საბანკო გარანტიასაბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული გარანტია, საავანსო გადახდის თანხაზე, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დასრულების ვადას (წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტიის წარმოდგენა დასაშვებია „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, როგორც ეროვნულ ვალუტაში (ლარი), ისე უცხოურ ვალუტაში - ა.შ.შ დოლარში ან/და ევროში. OECD-ს წევრი ქვეყნების საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის დოკუმენტის ვალიდურობა დადასტურებული უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ან/და წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ავთიზირება. იმ შემთხვევაში თუკი, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი იქნება უცხოურ ვალუტაში და სავალუტო კურსის ცვლილება (ლარისგამყარება) გამოიწვევს ხელშეკრულებით პირობების მიხედვით გაცემული და დაუდასტურებელი (გამოუქვითავი) საავანსო თანხის შემცირებას, მიმწოდებელი ვალდებული იქნება გაზარდოს წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის ღირებულება და წარუდგინოს იგი შემსყიდველს ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანს 10 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში შესაბამისი ღირებულების საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. საბანკო გარანტიები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

7.6 სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, „შემსყიდველი“-ს მიერ ყოველ შესრულებულ სამუშაოზე დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევრის 2.5%-ის დაბრუნება მოხდება სამუშაოების სრული დასრულებისა და „შემსყიდველი“-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი ობიექტის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი (აღნიშნული თანხის დაკავების ფორმას განსაზღვრავს „შემსყიდველი“) სამუშაოების საგარანტიო ვადის (სამი წელი) გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის ან სპეციალური კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, „მიმწოდებელს“ აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

### 8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადათ განისაზღვრება 3 (სამი) წელი, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით.

### 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან წერილობითი შეთანხმების გარეშე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.



*[Handwritten signature]*



9.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი-შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 10. სუბკონტრაქტორები

10.1 „მიმწოდებელმა“ წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა სუბკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

### 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუზიაროს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში (მაქსიმუმ 3(სამი) სამუშაო დღეში) წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი-შეთანხმების სახით, რომელიც დაერთდება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

### 12. მხარეთა უფლება-მოვალეობები

12.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:  
-სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს „მიმწოდებლისგან“ მისთვის საჭირო ინფორმაცია.


12.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:  
-უზრუნველყოს „მიმწოდებელი“-ს მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

12.3 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:  
-მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

12.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:  
-დროულად და დაკეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.  
-სამუშაოების შესრულების პროცესში უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოებებისა და სინათლის ამრეკლი შუქნიშნების დაყენება.  
-მშენებლობის დროს აუცილებელად იხელმძღვანელოს СНИП-ებით, შეასრულოს და დაიცვას და მათი მოთხოვნები შრომის დაცვასა და უსაფრთხოების ტექნიკაში.  
-მომუშავენი უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და ასევე ასრულებდეს საერთო კოლექტიური დაცვის ღონისძიებებს.  
-შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით.

-უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეებისა და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა, ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.

-სამუშაოს დასრულების შემდეგ 10(ათი) დღის ვადაში თავისი ძალებითა და სახსრებით გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი და მიმდებარე ტერიტორია სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან.





### 13. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

- 13.1 გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების გარანტია, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი და ძალაშია 2018 წლის 01 ოქტომბრის ჩათვლით.
- 13.2 ხელშეკრულების შესრულების მიზნით „შემსრულებლის“ მიერ წარმოდგენილია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს მიერ 2018 წლის 21 მარტს გაცემული №BGMP0061/210318 საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით 52540,00 (ორმოცდათორმეტი ათას ხუთას ორმოცი) ლარზე, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რაც მიადგება „შემსყიდველს“ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.
- 13.3 იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და აჯეროვნად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება „მიმწოდებლისაგან“ დამოუკიდებელი მიზეზებით, „შემსყიდველი“ ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

### 14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 14.1 დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებელი“-ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:  
- ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში „მიმწოდებელი“ გადაიხდის ხელშეკრულების საერთო თანხის 30% (ოცდაათ პროცენტს) შემსყიდველის სასარგებლოდ.
- 14.2 თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს მის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების კალენდარული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ შესაბამისი ეტაპის დასრულების ვადას, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.05%-ის ოდენობით (გადასახადის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში გადასახადის გადახდის დღე ვადაგადაცილებულ დღედ ითვლება).
- 14.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 14.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 1,5%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 14.4 ამ ხელშეკრულების 14.3 და 15.1 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეს რომელმაც არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო თანხის 40% (ორმოცი პროცენტის) ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ.
- 14.5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
- 14.6 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 14.7 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადაში განხორციელებისას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ თავისუფლდება ხელშეკრულების 14.2 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებიდან.

### 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
- 15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყოვნებლივ;
- 15.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.



*[Handwritten signature]*



16.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესახებ.

16.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

16.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

17. სადავო საკითხების გადაწყვეტა

17.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით.

19.2 ხელშეკრულება შედგენილია 3(სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან“.

20. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერია  
მის: ქ. ვანი თავისუფლების N65  
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა  
ბ/კოდი: TRESEGE22

ს/კოდი: 229653256  
ვანის მუნიციპალიტეტის მერი  
  
ალექსანდრე გოგორიძევილი  


მიმწოდებელი:

შ.პ.ს გი-ან 2011  
მის: ქუთაისი ლესელიძის 18 N15  
მიმღები სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“  
ბ/კოდი: UGEBGE22  
ა/ა GE28VT0500000051693605  
ს/კოდი: 412676322  
შპს „გი-ან 2011“-ს დირექტორი

  
გიორგი კოპალიძევილი



ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.ვანი

27/03/2018 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. ვანში წერეთლის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის; ქ. ვანში გიორგაძის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის; ქ. ვანში წმინდა ნინოს ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის; ზედავანი ვანი-გადიდის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2018 წლის 27 მარტს გაფორმებული N72 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობის პროცესზე უფლებამოსილი პირი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ზედამხედველობის სამსახურის უფროსი თეიმურაზ სოხანეიშვილი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ არ იწყობება ინტერესთა კონფლიქტში N72 ხელშეკრულების შემსრულებელ შპს „გი-ან 2011“-ს მიმართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

თეიმურაზ სოხანეიშვილი





21.03.18 №

უპირობო და გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო №BGMP0061/210318

გარანტი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ს/კ 202906427  
პრინციპალი: შპს „გი-ან 2011“, ს/კ 412676322  
ბენეფიციარი: თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი  
საგარანტიო თანხა: 52,450 (ორმოცდათორმეტი ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარი

ძვედველობაში ვიღებთ რა, რომ ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის ქ. ვანში წერეთლის ქუჩის, ვიორგაძის ქუჩის, წმინდა ნინოს ქუჩის და ზედა ვანი-გადიდის თემების დამაკავშირებელი ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის შესყიდვაზე (ელ. ტენდერის №SPA180001557) (შემდგომ „ხელშეკრულება“) ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს კონტრაქტის პირობების შესრულების გარანტიის წარმოდგენას, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ ზემოთ აღნიშნული გარანტია ანასთან დაკავშირებით ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე 52,450 (ორმოცდათორმეტი ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარი და ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის უპირობო და გამოუთხოვადი გადახდის ვალდებულებას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე.

მოთხოვნა ანაზღაურებაზე თქვენს მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადოდ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება მოთხოვნილი თანხა და ის გარეშობა, რომლის გამოც მოხდა მოთხოვნის წარმოდგენა. მოთხოვნას თან უნდა ეროვოდეს საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ბანკის მიერ მიღებულ უნდა იყოს საბანკო გარანტიის ვადის გახვლამდე შემდეგ მისამართზე: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, სათავე ოფისი, გ.ჭანტურიას ქ. №14, თბილისი, 0108, საქართველო, თბილისის დროით 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, სავაჭრო ფინანსირების ჯგუფის საკურადლებოდ. საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;
  - საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
  - ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით და/ან საბანკო გარანტიის ორ-გინალის დაბრუნებით
- საბანკო გარანტიის გარშემო წამოჭრილი დავა გადაწყდება საქართველოს ექსტრადიქსტრის შესაბამისად.

ვლადიმერ რობაქიძე  
კორპორატიული ბიზნესის დირექტორი




კრებსითი ხარჯთაღრიცხვა

#	ობიექტის დასახელება	ღირებულება
1	გიორგამის ქუჩა	194720,48
2	წერეთლის ქუჩა	195397,08
3	წმინდა ნინოს ქუჩა	409698,59
4	ზედა ვანი - გადიდის დამაკავშირებელი გზა	249183,84
	<b>ჯამი</b>	<b>1049000,00</b>

შ.პ.ს. „ბი-ან 2011“-ს დირექტორი:

ბ. კოპალეიშვილი





ქ. ვანში გიორგაძის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია

№	სამუშაოების დასახელება	განზ	რაოდ	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4		
	თავი I. ტერიტორიის ათვისება და მოსამზადებელი სამუშაოები, უნდა დაიწყოს პიკეტი 1+85 დან და დამთავრდეს პიკეტი 7+95-ით				
1	ტრასის აღდგენა და დამაგრება	მ	630,00	0,10	63,00
2	მცენეების და გადმოსული ტოტების მოჭრა-გასუფთავება, დატვირთვა ა/თვითმცლელზე და ტრანსპორტირება	კა	0,50	50,00	25,00
	თავი II. საგზაო სამოსის მოწყობა				
1	გზის სავალი ნაწილიდან და კიდეებიდან გრუნტის მოხსნა მექანიზმებით საგზაო სამოსის მოსაწყობად სისქით $h_{სმ} 10$ სმ	მ <sup>3</sup>	382,60	0,40	153,04
2	იგივეს დამუშავება ხელით მიუდგომელ ადგილებში	მ <sup>3</sup>	20,13	1,00	20,13
3	დატვირთვა ა/თვითმცლელზე და ტრანსპორტირება 5 კმ. მანძილზე	ტნ	745,05	0,50	372,525
4	საფუძვლის მოსწორება დაპროფილება	მ <sup>2</sup>	3250,00	2,40	7800,00
5	შემასწორებელი ფენის მოწყობა ქვიშა-ხრემოვანი ნარევით	მ <sup>3</sup>	200,00	3,00	600,00
6	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ღორღით 0-40 სისქით 10 სმ. $k=1,26$	მ <sup>2</sup>	3250,00	1,00	3250,00
7	ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 16 სმ. B-25 კლასის ბეტონით, არმატურის ზადით VR-1 კლასის, $d=6$ მმ, ზიჯით 20*20 სმ	მ <sup>2</sup>	3250,00	22,50	73125,00
8	არმატურის ზადით VR-1 კლასის, $d=6$ მმ, ზიჯით 20*20 სმ	მ <sup>2</sup>	3315,00	4,00	13260,00
9	გვერდულების მოწყობა ქვიშა ხრემოვანი ნარევით გზის ორივე მხარეს სიგანით 50 სმ. გასაშუალებული სისქით 16 სმ.	მ <sup>3</sup>	110,00	3,00	330,00
10	განივი ტემპერატურული ნაკერების მოწყობა და შევსება ბიტუმიტით	გრძ/მ	519,00	0,30	155,70
	თავი III. მიერთებების მოწყობა				
1	გზის სავალი ნაწილიდან და კიდეებიდან გრუნტის მოხსნა მექანიზმებით საგზაო სამოსის მოსაწყობად სისქით $h_{სმ} 10$ სმ	მ <sup>3</sup>	13,30	0,40	5,32
2	იგივეს დამუშავება ხელით მიუდგომელ ადგილებში	მ <sup>3</sup>	0,70	1,00	0,70
3	დატვირთვა ა/თვითმცლელზე და ტრანსპორტირება 5 კმ. მანძილზე	ტნ	25,90	0,50	12,95
4	საფუძვლის მოსწორება დაპროფილება	მ <sup>2</sup>	140,00	2,40	336,00
5	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ღორღით 0-40 სისქით 10 სმ. $k=1,26$	მ <sup>2</sup>	120,00	1,00	120,00
6	ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 16 სმ. B-25 კლასის ბეტონით, არმატურის ზადით VR-1 კლასის, $d=6$ მმ, ზიჯით 20*20 სმ	მ <sup>2</sup>	120,00	22,50	2700,00
7	არმატურის ზადით VR-1 კლასის, $d=6$ მმ, ზიჯით 20*20 სმ	მ <sup>2</sup>	122,40	4,00	489,60
8	გვერდულების მოწყობა ქვიშა ხრემოვანი ნარევით გზის ორივე მხარეს სიგანით 50 სმ. გასაშუალებული სისქით 16 სმ.	მ <sup>3</sup>	23,42	3,00	70,26
	თავი IV. ხელოვნური ნაგებობების მოწყობა				
	1. მონოლითური ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა				
1	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით სანიაღვრე არხის მოსაწყობად	მ <sup>3</sup>	165,00	0,40	66,00
2	იგივეს დამუშავება ხელით	მ <sup>3</sup>	18,44	1,00	18,44
3	დატვირთვა ა/თვითმცლელზე და ტრანსპორტირება 5 კმ მანძილზე	ტნ	339,36	0,50	169,68
4	ქვიშა-ხრემოვანი ქვესაგები ფენის მოწყობა ნიაღვარმიმღები ჰიბისთვის სისქით 10 სმ	მ <sup>3</sup>	30,00	3,00	90,00



5	სანიაღვრე არხის მოწყობა მონოლითური B-25 კლასის ბეტონით, არმირებით BP-1 სისქით 4 მმ, ზიჯი 20*20 სმ, გოსტი 6727-80	მ <sup>3</sup>	78,50	325,00	25512,50
6	სივარდიელების შევსება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	მ <sup>3</sup>	41,30	3,00	123,90
	2. ნაპირსამაგრი გაბიონის ყუთების მოწყობა				
1	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით გაბიონის ყუთების მოსაწყობად				
2	იგივეს დამუშავება ხელით	მ <sup>3</sup>	22,61	0,40	9,044
3	დატვირთვა ა/თვითმცლელელებზე და ტრანსპორტირება 3 კმ მანძილზე	მ <sup>3</sup>	1,19	1,00	1,190
4	გაბიონის ყუთების მოწყობა და ქვის ჩაწობა ხელით	ტნ	44,03	0,50	22,015
	მაკაფერის ტიპის გაბიონის ყუთები მოთუთიებული მავთულბადით სისქით 2.7 მმ. ზომით 2.0X1.0X1.0 მ. უჯრდით 10*12 სმ. სამონტაჟო მავთულით.	მ <sup>3</sup>	34,00	3,00	102,00
	გაბიონის ყუთების ტრანსპორტირება	ცალი	17,00	55,00	935,00
	რიყის ქვა >15სმ – ტრანსპორტირებით	ტნ	0,30	100,00	30,00
	2. ლითონის დ=426 მმ-იანი მილების მოწყობა ეზოებში შესასვლელელებში	მ <sup>3</sup>	34,00	10,27	349,18
1	გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ლითონის მილების მოსაწყობად				
2	იგივეს დამუშავება ხელით	მ <sup>3</sup>	18,35	0,40	7,34
3	დატვირთვა ა/თვითმცლელელებზე და ტრანსპორტირება 5 კმ მანძილზე	მ <sup>3</sup>	0,97	1,00	0,97
4	ქვიშა-ხრეშოვანი ქვესაგები ფენის მოწყობა მილების და სათავისების ქვეშ სისქით 10 სმ	ტნ	35,74	0,50	17,87
5	ლითონის დ=426 მმ-იანი მილების მოწყობა სისქით 6 მმ	მ <sup>3</sup>	2,76	3,00	8,28
6	ქვიშა-ხრეშოვანი ფენის მოწყობა მილს ზევით სისქით 10 სმ	გრძ/მ	46,00	124,50	5727,00
7	სათავისების მოწყობა მონოლითური B-25 კლასის ბეტონით	მ <sup>3</sup>	4,60	3,00	13,80
	3. ლითონის დ=530 მმ-იანი მილების მოწყობა გადაკვეთებზე	მ <sup>3</sup>	2,58	140,00	361,20
1	გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ლითონის მილების მოსაწყობად				
2	იგივეს დამუშავება ხელით	მ <sup>3</sup>	4,26	0,40	1,70
3	დატვირთვა ა/თვითმცლელელებზე და ტრანსპორტირება 5 კმ მანძილზე	მ <sup>3</sup>	0,22	1,00	0,22
4	ქვიშა-ხრეშოვანი ქვესაგები ფენის მოწყობა მილების და სათავისების ქვეშ სისქით 10 სმ	ტნ	8,29	0,50	4,145
5	ლითონის დ=530 მმ-იანი მილების მოწყობა სისქით 6 მმ	მ <sup>3</sup>	0,56	3,00	1,68
6	ქვიშა-ხრეშოვანი ფენის მოწყობა მილს ზევით სისქით 10 სმ	გრძ/მ	8,00	124,50	996,00
7	სათავისების მოწყობა მონოლითური B-25 კლასის ბეტონით	მ <sup>3</sup>	0,80	3,00	2,40
	4. ლითონის ცხაურების მოწყობა	მ <sup>3</sup>	0,11	140,00	15,40
1	ლითონის ცხაურების მოწყობა				
	კუთხოვანა 50*50*5მმ	გრძ/მ	8,00	20,00	160,00
	კუთხოვანა 45*45*4მმ	გრძ/მ	18,40	10,00	184,00
	არმატურა AIII - d=12მმ. ანკერებისთვის	გრძ/მ	18,40	0,10	1,84
	არმატურა AIII - d=22მმ.	გრძ/მ	8,00	0,10	0,80
	5. არსებული მილების გაწმენდა	გრძ/მ	64,00	10,00	640,00
1	არსებული მილების და ბოჯირების გაწმენდა დანალექი გრუნტისაგან				
	სულ ჯამი	გრძ/მ	20,00	10,00	200,00
	ზედნადები ხარჯი				138662,82
	ჯამი	9%			12479,65
	ბეგმიური დაგროვება				151142,48
	ჯამი	6%			9068,55
					160211,03



	გაუთვალისწინებელი ხარჯი				
	ჯამი	3%			4806,33
	დღგ				165017,36
	სულ ჯამი	18%			29703,12
					194720,48

შ.პ.ს. „გი-ან 2011“-ს დირექტორი:

ბ. კობალეიშვილი






ზედა ვანი - გადიდის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია

№	სამუშაოების დასახელება	განზ	რაოდ	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
თავი I. ტერიტორიის ათვისება და მოსამზადებელი სამუშაოები					
1	ტრასის აღდგენა და დამაგრება	კმ	1,15	100,00	115,00
თავი II. საგზაო სამოსის მოწყობა					
